



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

კატალოგი

2023 წელი

კოლეჯის შესახებ და ისტორია

კოლეჯი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და სამინისტრო. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა ნორმატიული აქტებით და კოლეჯის წესდებით.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-მასწავლებელთა განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“ პროფესიული განათლების მიმართულებით არის ერთ-ერთი ცნობილი სასწავლებელი საქართველოში, რომლის ისტორია თავის საწყისს 1922 წლიდან იღებს. სსიპ კოლეჯი „სპექტრი“ სამართალმემკვიდრეა:

1. პოლიტექნიკური კოლეჯის;
2. ტოპოგრაფიული კოლეჯის;
3. ტექნიკური კოლეჯის;
4. საფინანსო-ეკონომიური ლიცეუმის;
5. №54 -ე, №63 -ე, №74 -ე, №107 და №120 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების;
6. სამშენებო-ავტომექანიზაციის ლიცეუმის;
7. ლიცეუმის „სერვისი“

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ორი მიმართულებით - ინჟინერიის და ხელოვნების. ინჟინერიის მიმართულების პროგრამებიდან კოლეჯი ამ დროისათვის ახორციელებს 7 დარგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - მშენებლობა; ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; მასალათმცოდნეობა; სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია; ტრანსპორტი; გარემოს ინჟინერია და კომპიუტერინგი/ინფორმატიკა. ხელოვნების მიმართულების პროგრამებიდან კოლეჯი ახორციელებს 2 დარგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - დიზაინი და სახვითი ხელოვნება.

ძირითადი მიღწევები

2007 წლიდან უცხოელი პარტნიორების, კერძოდ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) თანამონაწილეობით, პროფესიულმა სასწავლებელმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დანერგა ახალი სასწავლო პროგრამები ინჟინერიის მიმართულებით.

2010 წელს კოლეჯსა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამის „განათლება დემოკრატიისათვის“ ფარგლებში დაინერგა და განხორციელდა ახალი პროფესიული პროგრამა.

კოლეჯი 2013 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების მიზნით.

კოლეჯმა 2012-13 წელს „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) აქტიური მხარდაჭერითა და შპს „კაპაროლ ჯორჯიას“, კ/ს „კნაუფ გიპს თბილისის“ და შპს „ჰაიდელბერგცემენტის“ ჩართულობით შეიმუშავა ერთობლივი პროგრამები, სტანდარტები და სილაბუსები ინჟინერიის მიმართულების 5 პროგრამაზე. მათივე მხარდაჭერით განხორციელდა პროფესიული განათლების პედაგოგების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები, გარემონტდა და აღიჭურვა სასწავლო ლაბორატორიები, შეიქმნა სახელმძღვანელოები (ელექტრიკოსის, შემდუღებლის, თაბაშირმუყაოს, მებათქაშის და მღებავის პროგრამებისთვის).

2015 წლის 9 სექტემბერს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM „გზა სულყოფილებისაკენ“ მოდელის განხორციელების ფარგლებში კოლეჯს ეწვია ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM ექსპერტი და ამავე ფონდის ვალიდატორთა ჯგუფი. ექსპერტისა და ვალიდატორების დასკვნის საფუძველზე კოლეჯის ორმა საკუთარმა და ერთმა საერთო გაუმჯობესების პროექტმა წარმატებით გაიარა ვალიდაცია EFQM სრულყოფის დონის პირველი საფეხურზე და მიიღო EFQM სრულყოფაზე ორიენტირების აღიარება, რის საფუძველზეც ამავე წლის ნოემბერში დაწესებულება დაჯილდოვდა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM „გზა სულყოფილებისაკენ“ მოდელის სერთიფიკატით.

კოლეჯმა 2016 წელს მონაწილეობა მიიღო ათასწლეულის გამწვევის კორპორაციის MCC მიერ გამოცხადებულ კონკურსში, და გამარჯვების შემდგომ, პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ISWD პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაიარა ბრიტანული საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის BTEC ავტორიზაცია 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რის

საფუძველზეც 2017 წლის შემოდგომიდან კოლეჯი ახორციელებს სწავლებას Pearson-ის საერთაშორისო აღიარების 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შედულება საბაზო და საშუალო საფეხური; ელექტრობა საბაზო და საშუალო საფეხური; ჰაერის კონდიციონერება საშუალო საფეხური და წყალმომარაგება/წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია საშუალო საფეხური).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კოლეჯ „სპექტრსა“ და კომპანია „ევრომასტერს“ შორის გაფორმებული PPP ხელშეკრულების ფარგლებში 2023 წელს კოლეჯს შეემატა წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის ახალი საწარმო.

კოლეჯი კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლების ხარისხის შემდგომი სრულყოფის მიზნით მუდმივად გეგმავს და ახორციელებს საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. ამჟამად კოლეჯს 100 მეტი აქტიური ბიზნესპარტიორი ჰყავს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კოლეჯს ამჟამად გააჩნია სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი 23 კაბინეტ-ლაბორატორია მათ შორის 6 ბრენდირებული სასწავლო ლაბორატორია, 12 სასწავლო სახელოსნო, 3 ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია (FABLAB), ბიბლიოთეკა 128 438 წიგნით, ღია სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი, სამასწავლებლო, საგამოცდო აუდიტორია, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი, ავტოდრომი, სკვერი და ღია სივრცე ღონისძიებებისთვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს არსებული საერთო საცხოვრებლის - კამპუსის რეაბილიტაცია.

მისია

კოლეჯის მისიაა სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კოლეჯის კონცეფციებია:

- მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება;
- ორგანიზაციის მდგრადი მომავლის შექმნა;
- ეფექტიანი/მოქნილი მართვა;
- შემოქმედებითობის და ინოვაციების ხელშეწყობა;
- ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება;
- ლიდერობა პროფესიული განათლების სეგმენტში დაწესებულებაში ერთიანი ხედვის, მთავრობების და მიდგომების დანერგვის გზით.

კოლეჯის ხედვა

კოლეჯის ხედვაა 2029 წლისათვის გახდეს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ცნობილი პროფესიული სასწავლებელი სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი/მოტივირებული მასწავლებლებით, მოტივირებული სტუდენტებით, წარმატებული კურსდამთავრებულებით, მოქნილი ადმინისტრირებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით.

კოლეჯის ღირებულებებია:

- გუნდურობა;
- პროფესიონალიზმი;
- მუდმივი მზაობა სწრაფადცვალებადი მოთხოვნებისადმი;
- საქმიანობის გამჭვირვალებობა;
- თანამშრომლობითი, უსაფრთხო, დაცული და ესთეტიური სასწავლო გარემო;
- მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული პროფესიული სტუდენტები;
- მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალი;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- კოლეჯის მომსახურებით დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება.

საკონტაქტო ინფორმაცია
სსიპ კოლეჯი „სპექტრი“
მის.: ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. N10
ტელ.: +995 (32) 240 16 87
245 63 63 (123)

spectri.org@gmail.com
www.spectri.org



www.fb.com/spectri



<https://www.youtube.com/@spectriorg>

ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი ს

აღწერილობა

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია საქმიანობის/სწავლის დეტალური სფეროს კოდით	კრედიტების რაოდენობა ქართული ენის გარეშე	კრედიტების რაოდენობა ქართული ენით	სასწავლო კვირების რაოდენობა ქართული ენის გარეშე	სასწავლო კვირების რაოდენობა ქართული ენით	სასწავლო თვეების რაოდენობა ქართული ენის გარეშე	სასწავლო თვეების რაოდენობა ქართული ენით
1	ელექტრობა	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში 0713	52	67	34	44	8	10
2	ელექტრობა	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში 0713	70	100	44	64	10	15
3	ელექტრობა (ინტეგრირებული)	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში 0713	127	157	120	140	28	33
4	წყალარინების სისტემები (დუალური)	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში 0732	52	82	101	121	24	28
5	წყალმომარაგების სისტემები	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში 0732	52	82	36	56	8	13
6	ჰაერის კონდიცირება	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში 0713	52	82	37	57	9	13

7	ჰაერის კონდიცირება (ინტეგრირებული)	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში 0713	110	140	120	140	28	33
8	შემდუღებელი	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	38	53	26	36	6	8
9	შემდუღებელი	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	79	109	51	71	12	17
10	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში 0731	90	120	59	79	14	18
11	ვებტექნოლოგიები	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 0612	64	94	41	61	10	14
12	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში 0732	80	95	51	61	12	14
13	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 0612	90	120	58	78	14	18
14	საავტომობილო გზების მშენებლობა	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 0732	79	94	51	61	12	14
15	სამღებრო სამუშაოების მწარმოებელი	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732	59	74	39	49	9	11
16	სახვითი ხელოვნების სპეციალისტი	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სახვით ხელოვნებაში 0213	85	115	57	77	13	18
17	სახვითი ხელოვნების სპეციალისტი (ინტეგრირებული)	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სახვით ხელოვნებაში 0213	133	163	120	140	28	33
18	იატაკის და ფილის სამუშაოები	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკის და ფილის სამუშაოებში 0732	83	98	53	63	12	15
19	ქვის სამუშაოების მწარმოებელი	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 0732	59	74	39	49	9	11
20	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი	მეხუთე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში 0712	120	150	76	96	18	22
21	ხის მხატვრული დამუშავება	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	79	94	52	62	12	14
22	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	59	74	38	48	9	11

23	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	58	73	37	47	9	11
24	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732	59	74	38	48	9	11
25	საბათქაშე სამუშაოების მწარმოებელი	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732	59	74	39	49	9	11

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ელექტრობა



- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: ელექტრობა/ Electricity
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერჯია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომომწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას“.

- **მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტრობაში. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი დაბალი ძაბვის ელექტრობაში.

- **დაშვების წინაპირობები**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის - საბაზო განათლება;

- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ელექტრობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413.

- **სტრუქტურა და მოდულები**

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით. 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით. ელექტრობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 67 კრედიტი, რომელთაგან 52 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდული (15 კრედიტი).

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 8 თვე;

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 10 თვე.

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“ ქართული ენა A2 -15 კრედიტი;

- **მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება
 - გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები
 - დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში
 - მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით
 - გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები
 - წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით
 - შექმნას და წარადგინოს პროექტი.
- **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი არ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულმა სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს კოლეჯი “სპექტრი”. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის


შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. ამასთან განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ (სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესის, სსსმ/შშმ პირებისათვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდიკის განსაზღვრის წესი და სსსმ/შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედეგის წესი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ელექტროობა



- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: ელექტროობა/ Electricity

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Secondary Vocational Qualification in Electricity;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერჯია - კოდი 0713. აღმწერი -

„შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერგია შეისწავლის ენერჯის გენერირებას“.

- **მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტრობაში. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი მაღლი ძაბვის ელექტრობაში.

- **დაშვების წინაპირობა**

სრული ზოგადი განათლება;

- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ელექტრობის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც ფლობს ან ოპერირებს უწყვეს ქვესადგურებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, მას შეუძლია აწარმოოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემების ექსპლუატაცია წარმოების ადგილიდან გამანაწილებელ სისტემამდე, აწარმოოს იმ გამანაწილებელი (ელექტრული ხაზების, ბოძების, მრიცხველების და კაბელებისაგან შემდგარი) სისტემების ექსპლუატაცია, რომლებიც აწვდიან წარმოების ადგილიდან ან გადაცემის სისტემიდან მიღებულ ელექტროენერჯას საბოლოო მომხმარებელს. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: მონტიორი; მონტიორის თანამშემწე და ელექტროენერჯის გადამცემი სისტემების სპეციალისტი.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413.

- **პროგრამის სტრუქტურა და მოდულები**

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. 9 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 45 კრედიტის ოდენობით. 4 საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული - 14 კრედიტი. ელექტრობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 70 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა 100 კრედიტი, რომელთაგან 70 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 11 თვე;

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 16 თვე.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“ ქართული ენა A2 -15 კრედიტი; ქართული ენა B1 -15 კრედიტი.

• მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე
2. გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები
3. შეასრულოს საზენიტო სამუშაოები ნახაზის მიხედვით
4. განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება
5. დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება
6. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით
7. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით
8. დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების აპარატურა
9. გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი არ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს კოლეჯი „სპექტრი“. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევს გარეშე. ამასთან განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ (სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესის, სსსმ/შშმ პირებისათვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის განსაზღვრის წესი და სსსმ/შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედეგის წესი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შ ე დ უ ლ ე ბ ა



- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: - შემდუღებელი/Welding
- მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715. აღმწერი - „შეისწავლის

მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე“.

- **მიზანი** - პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება შედუღებაში.

- **დაშვების წინაპირობები**

საბაზო განათლება;

- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

- **შედულების** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორცაა - შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 25.

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7212

- **სტრუქტურა და მოდულები**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 6 კრედიტის რაოდენობით. 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით. შედუღებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 38 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 53 კრედიტი, რომელთაგან 38 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდული (15 კრედიტი).

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 6 თვე;

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 8.4 თვე.

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“ ქართული ენა A2 -15 კრედიტი.

- **მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
- გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
- შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
- დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
- შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
- შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით
- დაადგინოს დეფექტები და წუნები
- შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

10. კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს სსიპ კოლეჯი „სპექტრი“. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამასთან განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ (სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესის, სსსმ/შშმ პირებისათვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის განსაზღვრის წესი და სსსმ/შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედეგის წესი)

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შ ე დ უ ლ ე ბ ა



1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: **შემდულებელი/Welding**
2. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებში / Secondary Vocational Qualification in Welding

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715. აღმწერი - „შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე“.

3. **მიზანი** - პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება შედუღებაში.

4. დაშვების წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“; ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

5. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

- **შედულების** საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორცაა - შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.
 - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 25.
 - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7212

6. სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის რაოდენობით. 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით. 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 40 კრედიტის რაოდენობით. შედუღებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 79 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა 109 კრედიტი, რომელთაგან 79 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, კერძოდ:
ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 14 თვე;
არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 19 თვე.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“ ქართული ენა A2 -15 კრედიტი; ქართული ენა B1 -15 კრედიტი.

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადუღოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე
9. უზრუნველყოს შედუღების პროცესების ხარისხი
10. გამოიყენოს კომპიუტერული ტექნოლოგიები შედუღების პროცესების სამართავად
11. გამოიყენოს და გადასცეს ტექნიკური ინფორმაცია
12. დაგეგმოს შედუღების პროცესი.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

10. კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს კოლეჯი „სპექტრი“. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის


შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამასთან განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ (სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესის, სსსმ/შშმ პირებისათვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის განსაზღვრის წესი და სსსმ/შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედეგის წესი)

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

წყალარინების სისტემები

(დუალური)



1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: წყალარინების სისტემები / Water Sewage Systems Exploitation

2. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში / Secondary Vocational Qualification in Water Sewage Systems Exploitation

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, კოდი 0732, აღმწერი - შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და სახცოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს.

სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა - ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და არინების და ა.შ. დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას”.

3. მიზანი

პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს წყლის მილსადენების შენება, კომპონენტების მონტაჟი და საკანალიზაციო ქსელზე საექსკავაციო, შეკეთებითი და სამუშაოების ჩატარება. სამუშაო სრულდება უსაფრთხოების წესების დაცვითა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებით.

4. დაშვების წინაპირობები

სრული ზოგადი განათლება

5. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

- წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს წყალარინების სისტემების ტექნიკოსად, წყალარინების სექტორში, ოსტატის თანამდებობაზე და შეასრულოს სამუშაოები გარემოს დაცვის სფეროში.
- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 36.0; 36.00; 36.00.0 წყლის დაგროვება, დამუშავება და განაწილება - ქვეკლასი შეიცავს:
- წყლის დამუშავებას სამრეწველო და სხვა მიზნებისათვის
- წყლის განაწილებას წყალსადენებით
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3112.

6. სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში მოიცავს 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 36 კრედიტის რაოდენობით. წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი. ხოლო

არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა 82 კრედიტი, რომელთაგან 52 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 8.4 თვე;
არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 13 თვე.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“ ქართული ენა A2 -15 კრედიტი; ქართული ენა B1 -15 კრედიტი,

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს სამუშაოდ უსაფრთხო გარემო
2. გამოიყენოს ტექნიკური ოპერაციებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა
3. ჩაატაროს ტოპოგრაფიული და მდებარეობის განმსაზღვრელი კვლევები
4. დაგეგმოს და უზრუნველყოს წყალარინების ქსელზე სამუშაოები
5. დაგეგმოს და შეასრულოს წყალარინების ქსელის შენახვისა და შეკეთების სამუშაოები
6. გადაჭრას მომხმარებელთა პრობლემები
7. შექმნას სამუშაოსთან დაკავშირებული დოკუმენტები.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი არ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.


10. კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს კოლეჯი ‘სპექტრი’. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამასთან განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ (სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესის, სსსმ/შშმ პირებისათვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის განსაზღვრის წესი და სსსმ/შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედეგის წესი)

**სსიპ კოლეჯი „სპექტრი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
წყალმომარაგების სისტემები**



